

გარეჯში მრავალი ხელნაწერი დაუმზადებია გაბრიელ საგინაშვილს. მათგან აღსანიშნავია სხვადასხვა მოღვაწის თავადასავალთა შემცველი აგიოგრაფიული კრებული (1713 წ.), რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომში გადაწერილ ნუსხებს. საგინაშვილს რთულ პირობებში უმუშავია — ლეკთა თავდასხმის შიშის ქვეშ. ერთ-ერთ მინაწერში იგი ამბობს: „ავად წერისათვის ნუ დამწყევლით. ვეშურებოდი. ლეკისაგან გვეშინოდა. ამ წიგნს რომ ვწერდი, მოუხდა ლეკის ჯარი დავით გარეჯას“.

ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის მოწაფე და მისი ლიტერატურული წრის წარმომადგენელია იოსებ არაგვის ერისთავის შვილი — კალიგრაფი, რომელმაც საინტერესო ცნობები შემოგვინახა ოსმალთობისა და ყიზილბაშობის შესახებ, აგრეთვე ლეკთა თარეშის შედეგად გარეჯელთა საარსებო პირობების გაუარესებისა და მოწესეთა კრებულის დაშლა-დაქსაქსვის თაობაზე.

XVIII ს. დამდეგს გარეჯის დოდორქის მონასტერში მოღვაწეობდა გრიგოლ ვახვახიშვილი — დოდორქელი, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია „წამება ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა“.

XVIII ს. შუა ხანებში გარეჯის ნათლისმცემელში მოღვაწეობდნენ მწერლები რომანოზ ერისთავი და ტიმოთე გაბაშვილი, აგრეთვე ანტონ პირველი, რომელმაც ნათლისმცემელში ცხოვრებისას გარეჯელ მოწამეთა სადიდებლად საგალობლები შეთხზა.

საკათედრო ტაძრებსა და მონასტრებში, მეფე-მთავართა და მსხვილ ფეოდალთა სასახლეებში არსებობდა ბიბლიოთეკები და დოკუმენტთა საცავები — „საწიგნეები“. მდიდარი წიგნსაცავები ჰქონიათ ალავერდს, შიომღვიმეს, ნათლისმცემლის უდაბნოს (კახეთში), ბოდბეს, სვეტიცხოველს, თბილისის სიონს, გელათს, საირმეს (ლენსუმიში), შემოქმედს და მარტვილს.

2. მხედრობა

საისტორიო მეცნიერება. XVIII ს. პირველ მეოთხედში გარდატეხა მოხდა საისტორიო მეცნიერების დარგში. ეს გარდატეხა ვახტანგ VI და მის მიერ შექმნილი კომისიის მუშაობას უკავშირდება.

XVIII ს. დამდეგისათვის „ქართლის ცხოვრება“ „განრყუნულ იყო, რომელნიმე მწერალთა მიერ და რომელნიმე ჟამთა ვითარებისაგან

არღარა წერებულ იყო“. ვახტანგმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ეროვნული ისტორიის მთავარი წერილობითი წყაროს მდგომარეობას! და მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა. მისი ინიციატივით შეიქმნა საგანგებო კომისია — „სწავლულნი კაცნი“, იგივე „მეცნიერნი კაცნი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ისტორიკოსი ბერი ევანტაშვილი. „ქართლის ცხოვრების“ ყველა არსებული ხელნაწერის, სიგელ-გუჯრებისა და სხვა წყაროთა მონაცემების საფუძველზე, კომისიას უნდა გაემართა გადამწერთაგან შერყვნილი ტექსტი და შეევსო იგი, დაეწერა ახალი ნაწილი — XIV საუკუნიდან.

როგორც ჩანს, ეს დიდი საქმე ვახტანგმა ჯერ კიდევ ბატონიშვილობის დროს წამოიწყო, კომისიამ კი თავისი სამუშაო უკვე ვახტანგის რუსეთში წასვლის შემდეგ დაასრულა. „სწავლულმა კაცებმა“ ძალზე დიდი შრომა გასწიეს. როგორც შესავლის ტექსტიდანაც ჩანს, მათ ხელთ ჰქონდათ „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოუღწეველი, ამჟამად ცნობილზე უკეთესი ხელნაწერები, აგრეთვე საქართველოს ისტორიის სხვა, დღეისათვის უცნობი წყაროები — როგორც ქართული, ასევე უცხოური. მათზე დაყრდნობით კომისიამ წარმატებით გაართვა თავი დასახულ მიზანს. „ქართლის ცხოვრებას“ წაუშმდვარეს „შესავალი“, სადაც გადმოცემულია ეროვნული ისტორიის ამსახველი წიგნის მდგომარეობა და დასაბუთებულია არსებული ტექსტის გამართვა-გადამუშავებისა და ახალი ნაწილის შეთხზვის აუცილებლობა. ტექსტი დაყვეს და დაასათაურეს მეფეთა ზეობის მიხედვით, რაც დიდად აიოლებდა წიგნით სარგებლობას. მეფეთა ზეობის მიხედვით დაყოფის მცდელობა ადრეც ყოფილა, რისი კვალიც ჩანს ანასეულ და მარიამისეულ ნუსხებში, მაგრამ მაშინ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანიათ.

„სწავლულ კაცთა“ კომისიას ჩაუთვლია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სათანადო სისრულით არ იყო წარმოდგენილი ქართული ეკლესიისა და ცნობილ საეკლესიო მოღვაწეთა ისტორია, ამიტომ ტექსტში შეუტანიათ პეტრე იბერის, ასურელი მამების, დავითისა და კონსტანტინეს, გობრონის, ექვთიმე მთაწმინდელის და სხვა მოღვაწეთა ცხოვრების ამსახველი ჩანართები.

ფრიად შრომატევადი სამუშაო ჩაატარა კომისიამ „ქართლის ცხოვრების“ ძველ ხელნაწერებში გადამწერთაგან ნებსით თუ უნებლიედ დაშვებულ შეცდომათა გამოსასწორებლად. ტექსტი სანიმუშოდ გაიმართა.

დაბოლოს, კომისიამ განაგრძო საქართველოს ისტორიის თხრობა XIV საუკუნიდან და შეავსო ადრე არსებული ხარვეზი. ამ გაგრძელების ნაკლი ის იყო, რომ მასში ფაქტობრივად მხოლოდ ქართლის ისტორია იყო წარმოდგენილი. ავტორები ისტორიის „ნაკულად“ დაწერას წყაროთა სიმცირითა და ხელმიუწვდომლობით ხსნიდნენ. საყურადღებოა თვით ის ფაქტი, რომ ავტორები ერთგვარად თავს იმართლებდნენ ამ ხარვეზის გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ კარგად ესმოდათ: ძველი ნაწილის მსგავსად, ეს ნაწილიც საქართველოს მთლიანი ისტორია უნდა ყოფილიყო.

XVIII ს. პირველ ნახევარში მოღვაწეობდა ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე. იგი ქართლის სამეფო კარის მოღვაწეთა შორის იყო. არაერთხელ გაჰყვოდა ქართველ უფლისწულებს ირანში, მონაწილეობა მიუღია სპარსელთა ომებში. მისი თხზულების სათაურია „ცხოვრება მეფეთა“. იგი 1653 წლით იწყება და 1739 წლით მთავრდება. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, სეხნია ჩხეიძის „ისტორიას უფრო მათიანის ხასიათი აქვს და თვით მოთხრობაც ქრონოლოგიურს რიგზეა დალაგებული და არა ლოგიკურზე“. ამიტომ „სწორედ ქრონოლოგიური ცნობების სიუხვე შეადგენს სეხნიას ჩხეიძის ისტორიის ღირსებას“.

„ცხოვრება მეფეთა“ უფრო ომების ისტორიაა, მასში ცოტა რამ არის ნათქვამი სამოქალაქო ისტორიაზე. მიუხედავად ამისა, ნაშრომში საინტერესო ფაქტობრივ მასალას შეიცავს XVIII ს. პირველი მეოთხედის ქართლის პოლიტიკური ისტორიის, აგრეთვე ირანისა და ავღანეთის ისტორიისთვისაც. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად საყვედურობდა სეხნიას ჩხეიძეს გულგრილობას, „სახოგადობრივი და მამულიშვილური გრძნობის მოღუნებას“, რაც თავის დაღს ასვამს მის თხრობას. იგი, როგორც ისტორიკოსი, შედარებით დაბლა დგას თავისი დროის სხვა ისტორიკოსებზე. მიუხედავად ამისა, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, როგორც საყურადღებო წყარო XVII ს. მეორე ნახევრისა და XVIII ს. პირველი მეოთხედის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიისათვის.

ქართული მეცნიერული აზროვნების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ვახუშტი ბაგრატიონმა (ბატონიშვილმა) — 1696—1757 წწ. იგი ვახტანგ VI უკანონო შვილი იყო. თავდაპირველი განათლება მამის კარზე მიიღო დეკანოზ იესე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით. შესაძლოა, თბილისში ევროპული განათლებაც მიიღო, კარგად იცოდა ლათინური ენა. ვახუშტი ბატონიშვილი ქართლის პო-

ლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. 1724 წელს ვახტანგი ამაღლის სხვა წევრებთან ერთად, იძულებული იყო სამშობლო დაეტოვებინა და რუსეთს გამგზავრებულიყო. სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობა მოსკოვში განაგრძო. იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია დონის მონასტერში.

ვახუშტი იყო პოეტი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ისტორიკოსი, გეოგრაფი. მისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „საქართველოს ცხოვრება“, ანუ „საქართველოს ისტორია“, რომელზე მუშაობაც ვახუშტიმ 1745 წელს დაამთავრა. აქ თხრობა უძველესი დროიდან ვახუშტის ეპოქამდე მოდის. გამოყენებულია ქართული და უცხოური დოკუმენტური მასალა და ლიტერატურა. ავტორს მოუშველიებია დამხმარე საისტორიო დისციპლინები — ქრონოლოგია, გენეალოგია, ეთნოგრაფია, დიპლომატიკა, ისტორიული გეოგრაფია. ნაშრომი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: წინასიტყვა („მკითხველთათვის სიტყვა — რაისათვის არს შრომა ესე“), შესავალი („ზნენი და ჩეულებანი საქართველოსანი“), ძირითადი ნაწილი („ადწერა სამეფოსა საქართველოსა“, ანუ „საქართველოს ცხოვრება“). განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნისათვის დართული დამხმარე სამეცნიერო აპარატი: პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი („ანბანთა ზედა ქმნილი ამა წიგნსა შინა წერილნი სახელნი ადგილთა და ქვეყანათა და მეფეთა“), კომენტარები, გამოყენებულ წყაროთა და გამოკვლევათა ბიბლიოგრაფია. ნაშრომს ერთვის რუკებიც — საქართველოს საერთო რუკა („სამეფოსა ყოვლისა საქართველოსა, ანუ იბერიისა, ანუ გიორგიისა“) და საქართველოს სამეფოებისა და მეზობელი ქვეყნების რუკები.

წინამორბედი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, ვახუშტიმ საქართველოს წარსული მთლიანობაში გაიაზრა და სახელწოდებაც შესაბამისი მისცა თავის ნაშრომს — „საქართველოს ცხოვრება“. „მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად“, — ასე ესმის მას ისტორიის შესწავლის მიზანი. „საქართველოს ცხოვრებაში“ შეტანილია ცალკეული ფაქტები მსოფლიო ისტორიიდანაც.

ვახუშტის ნაშრომი XVIII ს. პირველი ნახევრის ევროპული მეცნიერების დონეზეა შესრულებული. კვლევის მეთოდები და ხერხები იგივეა, რასაც მისი თანამედროვე ევროპელი ისტორიკოსები და გეოგრაფები იყენებდნენ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვახუშტის ნაშრომში თავმოყრილ ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებს, ქართველ-

თა ზნე-ჩვეულებების აღწერას, ცნობებს სამოხელეო აპარატის შესახებ, მის მიერ მოტანილ ხალხურ ანდაზებსა და სხვა მასალას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა საფუძველი ჩაუყარა გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებას საქართველოში და ეს დისციპლინა ევროპის გეოგრაფიული მეცნიერების დონეზე აიყვანა. ქართული გეოგრაფიული მეცნიერების საფუძველად ითვლება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც დახასიათებულია საქართველოს ბუნება, კლიმატური და მცენარეული საფარის ზონები, დასახლებული პუნქტები, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა და სხვ. ვახუშტის დასკვნები დღესაც საფუძვლად უდევს სპეციალურ რუკებს. ამავე დროს, ვახუშტიმ გეოგრაფიული ცოდნა ისტორიული დოკუმენტების გათვალისწინებით გადაამუშავა; აღწერა ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები, სასახლეები, ხიდეები, არხები, აღნიშნა მათი აგების დრო, აგების ვინაობა და, ამგვარად, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია ჩამოაყალიბა. რუსეთში ყოფნის დროს მისთვის ხელმისაწვდომი გახდა უცხოური კარტოგრაფიული მასალებიც. პირველი ატლასი მან 1735 წელს შეადგინა. 1737 წელს ბაქარ ბატონიშვილმა ვახუშტის რუკები ფრანგ გეოგრაფ ჟ.-ნ. დელილს გააცნო, რომელმაც ისინი ფრანგულად თარგმნა და 1766 წელს პარიზში გამოსცა. 1745 წელს ვახუშტიმ მეორე, უფრო გაფართოებული და გაუმჯობესებული ატლასი შეადგინა. იგი მიიწვიეს რუსეთის არმიის შტაბში საქართველოს რუკების შესადგენად. იქ მან 9 რუკა შექმნა: 2 კავკასიისა და 7 საკუთრივ საქართველოსი.

ვახუშტიმ რუსულიდან თარგმნა მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომელსაც 21 ფერადი რუკა დაურთო და საქართველოს შესახებ ცნობებს თავისი შენიშვნები დაუმატა. მანვე მონაწილეობა მიიღო რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენასა და მეცნიერული ტერმინოლოგიის დადგენაში. რუსულის გარდა, თარგმნიდა ევროპული ენებიდანაც. დარგობრივად ეს ნაშრომები განეკუთვნება ისტორიას, გეოგრაფიას, ფილოსოფიას, ლექსიკოგრაფიას.

საქართველოში გეოგრაფიული ცოდნის გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომს „მოგზაურობა ევროპაში“, რომელშიც აღწერილია ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები, მათი ბუნება, კულტურისა და ხელოვნების ძეგლები, ხალხის ზნე-ჩვეულებანი. თხზულებამ ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია.

ფილოლოგია, პედაგოგიკა, ლიტერატურა, მეცნიერება. მაჰმადიანურ რკალში მოქცეული საქართველოს წინაშე მწვავე პრობლემად იდგა ქართული ენის დაცვის საკითხი. საჭირო გახდა ენის გაწმენდა მასში შემოჭრილი სპარსული და თურქული სიტყვებისაგან, ლექსიკონი ნორმების დადგენა და პრაქტიკაში დამკვიდრება. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ქართული ენის ლექსიკონის შექმნა, რაც გიორგი XI, არჩილისა და ლევან ბატონიშვილის ინიციატივით, სულხან-საბა ორბელიანმა იტვირთა. ამ საქმეს მან თითქმის 33 წელი შეაღწია: „სიტყვის კონაზე“ მოუშობა 1685 წელს, ჯერ კიდევ ჭაბუკობის ჟამს, დაიწყო („მე, სულხან-საბა ორბელიანსა ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა“, — გვაუწყებს თავად საბა) და 1716 წელს დაამთავრა. ლექსიკონში გამოყენებულია როგორც ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, ისე დასავლელ და აღმოსავლელ ლექსიკოგრაფთა გამოცდილება. მასში შეტანილია დაილექტური მონაცემები, მოცემულია ქართულის უცხოური შესატყვისებიც. „სიტყვის კონა“ ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია: მასში უხვადაა წარმოდგენილი ისტორიულ პირთა და გეოგრაფიული სახელების განმარტებანი.

იმდროინდელი ქართული პედაგოგიური და მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ — „ყრმათათვის ამოდ საკითხავი და მრავალგან სასარგებლოდ გამოსადეგი წიგნი“. მასში გადმოცემულია მეფე ფინეზის ძის, უფლისწულ ჯუმბერის აღმზრდელის — ლეონისა და მეფის საჭურისის — რუქას დაპირისპირება ლეონის აღმზრდელობითი მეთოდის გამო. ლეონს მხარს უჭერს ვეზირი სედრაქიცი. მეფე ფინეზი გამოცდის უფლისწულს და კმაყოფილი რჩება მისი განსწავლულობით. ამ გამოცდის დროს პერსონაჟები ერთმანეთს ეკამათებიან აღზრდის, ზნეობის, სიმართლის, სიკეთის, ბოროტების, ჭეშმარიტების, ადამიანის ხვედრის და სხვა საკითხებზე. კამათი მიმდინარეობს ივავ-არაკების, გამოცანების, ზღაპრების თხრობის გზით. მათი სიუჟეტების გავრცელების ქრონოლოგია შორეულ წარსულში იკარგება, არეალი კი ძველი აღმოსავლეთიდან ევროპულ სამყარომდე გადაჭიმული. სწორედ ეს მთარული სიუჟეტები აქცია სულხან-საბამ ქართული საზოგადოების თვითგაგების, თვითმხილებისა და თვითშეგნების გამოხატვის ფორმად. ამავე დროს, „სიბრძნე სიცრუისაში“ უხვადაა გამოყენებული ქართული ფოლკლორული მასალა.

„სიბრძნე სიცრუისა“ აჯამებს და განაზოგადებს ეპოქის იდეურ-ფილოსოფიურ და სტილურ ძიებებს.

სულხან-საბას ლიტერატურული მემკვიდრეობიდან უნდა დავასახელოთ „ქილილა და დამანას“ მისეული ვერსია. ამ ნაწარმოების თარგმანზე სხვადასხვა დროს არაერთ პირს უმუშავია. XVIII ს. იგი სიტყვასიტყვით თარგმნა ვახტანგ VI და საბოლოოდ გასამართავად („გასაჩილხავად“) სულხან-საბას გაუგზავნა, რომელმაც ნაწარმოების მაჰმადიანური ტენდენციები შეარბილა, სტილისტურად გამართა. საბას მიერ ქართულად გაწყობილი ტექსტი სტილისტურად ყველა წინა რედაქციისაგან განსხვავდება. მასში ჩართულია საბას მიერ გალექსილი რამდენიმე ეპიზოდი. ამ ნაწარმოებმა დიდი როლი შეასრულა იმ პერიოდის ქართული სტილისტიკის განვითარებაში.

ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვით სულხან-საბას (1658—1725 წწ.) ბიოგრაფიაზე. იგი ქვემო ქართლის სოფ. ტანძიაში დაიბადა, ვახტანგ ორბელიანის ოჯახში. დედა იყო არაგვის ერისთავის ასული — თამარი. ვახტანგ ორბელიანი მეფე ვახტანგ V (შაჰნავაზ I) ცოლისძმა იყო. სულხანი მეფის კარზე იზრდებოდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მამიდაშვილებთან — გიორგი XI, არჩილთან, ლევანთან. იყო ვახტანგ VI აღმზრდელი და უერთგულესი თანამებრძოლი. იგი ჯერ გიორგი XI მხარდამხარ იბრძოდა ქვეყნის განმტკიცებისათვის და 1688 წელს გიორგისთან ერთად მოუხდა ქართლის დატოვება. 1698 წელს სულხანი ბერად აღიკვეცა დავითგარეჯის უდაბნოს ითანე ნათლისმცემლის მონასტერში და ეწოდა საბა. 1703 წლიდან კვლავ პოლიტიკურ ასპარეზს დაუბრუნდა, ამჯერად ვახტანგ VI ერთად. 1710—1712 წლებში დიპლომატიური მისიით ორჯერ იყო სპარსეთში. 1713 წელს ასეთივე მისიით ევროპაში გაემგზავრა. მისი მიზანი იყო მიეღწია ვახტანგ VI მიერ ქართლის ტახტის ქრისტიანად დაკავებისათვის. 1713 წ. ოფიციალურად მიიღო კათოლიკობა. 1714 წელს ვერსალში წარუდგა ლუი XIV, იმავე წელს ორჯერ მიიღო რომის პაპმა, მაგრამ სასურველი დახმარების მოპოვება ვერ შეძლო და 1716 წელს სამშობლოში დაბრუნდა. ქართულმა ეკლესიამ არ აპატია სულხან-საბას კათოლიკობის მიღება. ვახტანგ VI პოლიტიკაც მარცხით დამთავრდა. 1724 წელს სულხან-საბამ ვახტანგთან ერთად დატოვა საქართველო და რუსეთს გაემგზავრა. 1725 წელს, 26 იანვარს, მოსკოვში ვარდაიცივალა და იქვე, ვსესხვიატსკოეს ძველ ეკლესიაში დაიკრძალა.

XVII ს. პირველი მეოთხედის ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია ვახტანგ VI — პოეტი, მთარგმნელი, რედაქტორი, კომენტატორი. მის პოეტურ მემკვიდრეობაში ძირითადია ელეგიური, დიდაქტიკური და პატრიოტული მოტივები.

შედარებით მკრთალად გამოიყურებოდა ლიტერატურული საქმიანობა დასავლეთ საქართველოში. იქ შექმნილი ორიგინალური თხზულებებიდან აღსანიშნავია გიორგი აბაშიძის ავტობიოგრაფიული ლექსი და ქება ვახტანგ VI, ნიკოლოზ შემოქმედელის პოეტური მემკვიდრეობიდან შემორჩენილი ერთი ლექსი და პეტრე ჩხატარაისძის პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. პეტრე სიყრმეშივე აღკვეცილა მონაზვნად, შემდგომში გურიელის მდივან-მგალობელი გამხდარა. „იმერეთ-ოდიშ-გურიის განმგებლის“ ბეჟან დადიანისა და მისი სარდლის გიორგი ჩიჩუას დავალებით გალექსა არჩილის მიერ რუსულიდან თარგმნილი „ალექსანდრიანი“. შემდგომ მან ეს თარგმანი ახალი დეტალებით შეავსო, გაასხვავებრა და ჩამოაყალიბა „ალექსანდრიანის“ ახალი პროზაული ვერსია, რომელიც ფრიად პოპულარული გამხდარა. პეტრესვე ეკუთვნის ორი ქება გიორგი IV გურიელისა, აგრეთვე „მრავალნი კარგნი სტინი და შაირნი“. სიცოცხლის ბოლო წლები მან ვახტანგ VI კარზე გაატარა. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში.

ინტენსიური ლიტერატურული და სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობდა მოსკოვის ქართულ კოლონიაში, რომელსაც საფუძველი XVII ს. 90-იან წლებში ჩაუყარა სამშობლოდან გადასვნილმა არჩილმა და, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი გახდა 1724 წელს, როცა იქ ჩავიდა და დასახლდა ვახტანგ VI ამალითურთ.

1737 წელს მოსკოვში, ვსესხვიატსკოეში, ამუშავდა ქართული სტამბა, სადაც 1737—1744 წლებში 12 წიგნი დაიბეჭდა, მათ შორის ბიბლია.

მოსკოვის ქართველმა ემიგრანტებმა მნიშვნელოვანი მემუარული ლიტერატურა შექმნეს: ოტია ფავლენიშვილის „ვახტანგისანი“, რომელიც აღწერილია ვახტანგ VI ცხოვრება; გაბრიელ გელოვანის ანდერძი, მასში აღწერილია ვახტანგის ამალის მგზავრობა საქართველოდან ასტრახანამდე; ვახტანგ ორბელიანის „პეტერგოვის აღწერა“.

¹ სოფ. ვსესხვიატსკოე (იშვამად მოსკოვის ახლოს, ახლა — ქალაქის ცენტრში) სამფლობელოდ ებოძა ვახტანგ VI.

ემიგრანტული პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია დიმიტრი სააკაძე, რომლის ლექსები აღსავსეა სამშობლოდან გადახვეწილი კაცის მძიმე სევდით გამოწვეული სევდითა და უსასოობით. ავტორი ემიგრაციის მიზეზებისა და შედეგის გააზრებასაც ცდილობს, მისთვის ეს ნაბიჯი გაუმართლებელი ჩანს.

ემიგრანტული პოეზიის მოტივები ძლიერია მამუკა ბარათაშვილის ლირიკაშიც. მასვე ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული პირველი თეორიული-ლიტერატურული ნაშრომი „ჭაშნიკი“, ანუ „ლექსის სწავლის წიგნი“ — პოეტიკის სახელმძღვანელო. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი — ძირითადი—თეორიული კვლევაა, მეორე კი — საილუსტრაციო მასალა ძველი და ახალი მწერლობიდან. ავტორის პათოსი მიმართულია სპარსოფილთა წინააღმდეგ.

მოსკოვის ქართული კოლონიისტიები მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდნენ. ვახტანგ VI დაკვეთით ითარგმნა კვინტოს კურციუსის „ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება“, ალექსი მისხილის ძის „ძეგლისდება“ (1649 წ.) — სამართლის წიგნი. ზემოთ დასახელებულმა გაბრიელ გელოვანმა რუსულიდან თარგმნა გეოგრაფიის სახელმძღვანელო — „დეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმრგვალისათვის“. ესაა მსოფლიო გეოგრაფიის წიგნის პირველი ქართული თარგმანი. დიმიტრი ციციშვილმა გერმანულიდან თარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო. მანვე გამოსცა გეოდეზიის პირველი სახელმძღვანელო. ვახტანგის თაოსნობით შეადგინეს გეომეტრიის სახელმძღვანელო — „დეომეტრია ანუ მიწის ზომა“. თარგმნიდნენ ქართულიდან რუსულადაც.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის ზრდას ადასტურებს თავად ვახტანგ VI მიერ ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნის დროს, 1712—1719 წლებში XV საუკუნის ცნობილი ასტრონომის ულუღ-ბეგის ნაშრომის — „ვარსკვლავთმრიცხველობის“ თარგმნა. ეს წიგნი ქართლში სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. სპარსეთშივე თარგმნა ვახტანგმა ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული შინაარსის თხზულება — ნასირ თუსელის „სტროლაბის სასწავლო წიგნი“. მასში აღწერილია ასტრონომიულ-გეოდეზიური დაკვირვებების საწარმოებელი ხელსაწყო, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ვახტანგ VI, ნიკოლოზ ორბელიანმა და ვახუშტი ბატონიშვილმა შესწორებები შეიტანეს ტბელ აბუსერიძის მიერ 1233 წელს შედგე-

ნილ ასტრონომიულ-კალენდარულ ნაშრომში. ვახტანგ VI შეადგინა ასტრონომია-კოსმოგრაფიის მოკლე კურსი, რომელშიც განმარტებულია ასტრონომიული ცნებები და ტერმინები.

ვახტანგისავე შედგენილია „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“. ამავე სახელმძღვანელოზე უმუშავია ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომელსაც მისთვის ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყოთა ზოგიერთი ნახაზი დაურთავს.

1709 წელს ვახტანგ VI შინაარსობრივად გამართა, შენიშვნები დაურთო და სახმარ წიგნად აქცია ზაზა ფანასკერტელისეული XV საუკუნის სამედიცინო კარაბადინი. ვახტანგმა წიგნი ორ ნაწილად გაყო: პირველში თავი მოუყარა მედიცინის ზოგად თეორიულ საკითხებს, მეორეში კი — პრაქტიკული მკურნალობის საკითხები შეიტანა. ფარმაკოლოგიურ საშუალებათა ფორმებისა და მათი მიღების ტექნოლოგიური პროცესების ასეთი ვრცელი და სისტემური აღწერა მანამდე არ არსებულა.

XVIII ს. პირველ მეოთხედში აღორძინებას იწყებს ფილოსოფიური აზროვნებაც. იზრდება ინტერესი ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსების თხზულებებისადმი, მიმდინარეობს მათი გადმოქართულება და გავრცელება. ითარგმნა სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, არისტოფანეს, ეპიკურეს აფორიზმები და სენტენციები. ბაქარ ბატონიშვილმა და ერასტი თუმანიშვილმა შეადგინეს ზემოთ დასახელებულ მოაზროვნეთა შეხედულებების კრებულები. ფილოსოფიის საკითხებზე მუშაობდა ვახუშტი ბატონიშვილიც.

ფილოსოფიის ღრმა ცოდნა აისახა სულხან-საბას „სიტყვის კონაში“, სადაც მოცემულია ბევრი ფილოსოფიური ცნებისა და კატეგორიის მეცნიერული განსაზღვრება. წინასიტყვაობაში დასახელებულია წყაროებიც: „ელინთა, ლათინთა, სომეხთა, რუსთა და არაბთა წიგნები“, პროკლეს, არისტოტელეს, პორფირიუსის, ნემესიოს ემესელის, იოანე დამასკელის თხზულებანი. სულხან-საბას ღრმა ფილოსოფიური განსწავლულობა ჩანს აგრეთვე თხზულებაში „სიბრძნე სიცრუისა“.

3. ხელმოწევა

XVIII ს. პირველ მეოთხედში აგებული სამოქალაქო, თავდაცვითი და საკულტო ნაგებობების მხატვრული დონე ჩამორჩება წინა ეპოქების ძეგლებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, აღმშენებლობითი საქმიანობა გრძელდებო-